

დამტკიცებულია: 20.04.2018წ. № 14 ღწვ.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, სასწავლო პროცესში ჩართული ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების საათობრივი დატვირთვის ოდენობის განსაზღვრის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის, სასწავლო პროცესში ჩართული ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების საათობრივი დატვირთვის ოდენობას.
2. წესი შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ზოგად დებულებებთან. „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებთან, საქართველოს შრომის კოდექსთან.

### მუხლი 2. მინიმალური და მაქსიმალური საათობრივი დატვირთვა

პროფესორის/მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს, სასწავლო პროცესში ჩართული ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის საათობრივი დატვირთვა კვირაში არ აღემატება 20 საათს. გამოწვევის დაიშვება მოკლევადიანი გადამზადების /მომზადების კურსების ლექციებზე დახარჯული დრო, რაც ჩაითვლება ზეგანაკვეთურ სამუშაოდ.

1. აკადემიური პერსონალის დატვირთვა მტკიცდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, კვირეული საათობრივი დატვირთვა მინიმუმ სამი საათი (დანართი1).
2. უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის მინიმალური დატვირთვა შეადგენს სამ საათს.

### მუხლი 3. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.